

**ბრიჯ - ინოვაციური და განვითარება
წლიური ანგარიში**

**BRIDGE - INNOVATION AND
DEVELOPMENT
ANNUAL REPORT**

4	მისია Mission
5	ვინ ვართ Who are we
5	როგორ ვმუშაობთ How do we work
6	გამგეობის გზავნილი Message of the Board
9	სოფლის მეურნეობა Agriculture
17	გენდერი და განვითარების პროექტები Gender and Development Projects
19	თემების მედეგობა და ინოვაციური ტექნოლოგიები Sustainability of Communities and Innovation Technologies
27	მადლობის სიტყვები Acknowledgements



„ბრიჯ - ინოვაცია და განვითარება“

(ბრიჯი) საქართველოში მოქმედი სწრაფად მზარდი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც აქტიურად მუშაობს ქვეყანაში სიღარიბის და გაჭირვების დასაძლევად.

„ბრიჯი“ 2015 წელს საქართველოში დიდი ბრიტანეთის საქველმოქმედო ორგანიზაცია „ოქსფამის“ მხარდაჭერით დაფუძნდა და ახორციელებს პროგრამებს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების, გენდერული თანასწორობის გაძლიერების და განსაკუთრებულად სოფლად მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდების უფლებების დაცვის და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების მიმართულებით, ქვეყანაში სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით.

ჩვენ ვიყენებთ პრაქტიკულ ცოდნასა და უნარებს ადვოკატირებისა და პოლიტიკის მონიტორინგის სფეროში, ასევე სხვადასხვა პოლიტიკის დაგეგმვისას მოსახლეობის ღარიბი ფენების ინტერესებისა და გენდერული ასპექტების ინტეგრირების გამოცდილებას. ამასთან, საგანგებო ყურადღებას ვუთმობთ სხვადასხვა სტრატეგიების „ქვევიდან ზევით“ შემუშავების პრინციპს, ადგილობრივი აქტორების პოტენციალის განვითარებას, მათ გაძლიერებას და მეტად ჩართულობას მიმდინარე პროცესებში.



Bridge - Innovation and Development (BRIDGE) is a young and fast growing non-governmental organisation operating in Georgia, driven by its vision of Georgia free of poverty and suffering.

BRIDGE Founded in 2015, is a spin-off organisation of Oxfam in Georgia, with a commitment to sustain grassroots connections and partnerships and supporting agriculture and rural development, advancing gender equality and women's rights, with a focus on rural women and youth and building resilient communities to reduce poverty and stimulate economic growth.

BRIDGE draws on practical skills and experience in advocacy and policy oversight areas, and in campaigns and influencing for pro-poor and gender sensitive policies. These approaches include a strong emphasis on the bottom-up principle of policy development through capacitating, engaging and empowering local civil society actors.



მისია

ჩვენი მისიაა, სიღარიბის შემცირება და ამ მიზნით მეტი ქალისა და კაცის, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრები მოსახლეობის გაძლიერება რათა შეძლონ ადგილობრივი პოტენციალით და თავიანთი საქმიანობიდან სტაბილური შემოსავლის მიღება და ამავდროულად, გადამწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად ჩართვა.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ხელშეწყობას განსაკუთრებული როლი აქვს სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის პროცესში.

Mission

We are guided by our mission to reduce poverty in Georgia by enabling more women and men, particularly those living in rural communities including youth, to generate sustainable incomes from their work and can influence policy decisions that impact on their lives and livelihood

We think that promotion of agricultural and rural development has crucial importance in the process of poverty reduction and economic growth.

ვინ ვართ

ჩვენი გუნდის უპირატესობებია:

- » კვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლები პროგრამების განხორციელებისა და პოლიტიკის ადვოკატირების სფეროში;
- » ქვეყნის განვითარებისთვის საჭიროებების ზედმიწევნითი ცოდნა;
- » მრავალწლიანი პარტნიორული ურთიერთობები საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამთავრობო სტრუქტურებთან, აკადემიურ წრეებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- » პრაქტიკაზე დაფუძნებული ცოდნა და უნარები ეფექტური ლობირების კამპანიების განხორციელებისათვის.

როგორ ვმუშაობთ

- » ჩვენ, მხარს ვუჭერთ, განვითარების მდგრადი მოდელების შემუშავებას და ხელს ვუწყოთ ხელისუფლების მიერ ამგვარი მოდელების ინსტიტუციონალიზაციას;
- » ვეხმარებით, მცირემიწიან ფერმერებს ზეგავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობაზე, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შემუშავება მათ საჭიროებებს ეფუძნებოდეს;
- » მხარს ვუჭერთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და რეალიზაციის პროცესში ჩართულ მხარეებს შორის პროდუქციის და მომსახურების მიწოდებისას სტაბილური ღირებულებათა ჯაჭვის ჩამოყალიბებაში, ახალი ბაზრების მოპოვებისა და ათვისების მიზნით;
- » ვმონაწილეობთ შავი ზღვის რეგიონში სოფლის ტურიზმის ქსელის შექმნაში, რომელიც მიმართულია მდგრადი და ეკონომიკური განვითარებისაკენ და კულტურის შენარჩუნებისა და ეკოსისტემის დაცვისაკენ.
- » მხარს ვუჭერთ აგროჟურნალისტიკის დარგის განვითარებას საქართველოში

Who we are

The assets of our team include:

- » Qualified and experienced staff in a range of programme and policy advocacy areas;
- » Comprehensive knowledge of development needs across Georgia,
- » Well established partnerships with local partners, CSOs, policy makers, government institutions and other stakeholders;
- » Practical Knowledge, skills base and tools for effective advocacy and lobbying campaigns

How We Work

- » BRIDGE supports sustainable models of development for the country, and encourage their adoption by the government;
- » With a specific focus on women, we support small holder farmers to be able to influence decisions that impact on them, so that policy making is informed by their evidence and perspectives;
- » Support interest groups involved in agricultural production to increase the quality and quantity of their produce and access supply chains to exploit new markets;
- » Participate in creation of Black Sea Sustainable Rural Tourism Network that aims to open new opportunities for rural communities to develop sustainable ecotourism and preserve the cultural heritage and environment of the region.
- » We support development of Agrojournalist's sector in Georgia with the commitment to ensure media sustainability and journalist's capacity building that also refers to farmers's and agriculture sector players's awareness raising and education;
- » We participate in community capacity building and mobilization activities and in introducing Innovation technologies

მედიის მდგრადობის და ჟურნალისტთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობით, რომელიც ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სექტორის მოთამაშეთა უკეთ ინფორმირებასა და განათლებას უკავშირდება.

- » ჩართულები ვართ თემის მობილიზების, მათი მედეგობისა და უნარების განვითარებისა და გაძლიერების და სოფლად ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის სამუშაოებში.
- » ვცდილობთ, შევამციროთ ბუნებრივი კატასტროფების და კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედების რისკი და ამ მიზნით განსაკუთრებით ვითვალისწინებთ სიღარიბეში და სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ ადამიანთა საჭიროებებს.
- » საჭიროების შემთხვევაში, ვიცავთ სოციალურად დაუცველ და მოწყვლად მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარების პროექტების განხორციელების საშუალებით;
- » მხარს ვუჭერთ, საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც საშუალებას აძლევს ქალებს განამტკიცონ თავიანთი უფლებები, აქტიურად ჩაერთონ დემოკრატიული მმართველობის პროცესებში ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე და გაიუმჯობესონ ეკონომიური მდგომარეობა.
- » ვმუშაობთ, საქართველოს რეგიონებში აქცენტით იმ სოფლებსა და ქალაქებზე, სადაც აღინიშნება სიღუბნური და ინვესტიციების სიმცირე, და სწორედ ადგილობრივი საჭიროებიდან გამომდინარე ვახდენთ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირებას სხვადასხვა პლატფორმების მეშვეობით, ადგილობრივ და ცენტრალურ მთვარობასთან მუშაობით.

გამგეობის გზავნილი

2016/17 წლებში ჩვენ ხელს ვუწყობდით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბება-განვითარებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და მთავრობის უწყებებთან ერთად მიზნად დავისახეთ თანამონაწილეობის იმგვარი მექანიზმების შემუ-

to rural communities for strengthening local livelihoods and resilience;

- » We protect vulnerable population by implementing humanitarian assistance projects when required
- » We work to reduce the risks of negative impact of disasters and climate change on the livelihoods of vulnerable communities;
- » We support legislative and regulatory changes enabling women to uphold their rights, improve their economic status, and become actively involved in processes and practices of democratic governance at local and national levels;
- » We work in underinvested rural and urban areas in Georgia and carry out national level advocacy based on grass roots evidence.

Message of the Board

In 2016/17 we've been supporting establishment – development of agricultural cooperatives in different regions of Georgia, and together with the government agencies worked on elaboration, preparation and implementation of participation tools, by means of which farmer women's and men's voices will be presented in the process of making decisions related to policy. Our effort basically was directed to promotion of policy changes, which support women to influence decisions in their communities and beyond them, since floods, landslides and lack of food still are threatening human lives and livelihoods we used to build capacity of vulnerable groups, to ensure their readiness and sustainability to natural disasters.

Of course we are not yet able to respond to all needs and demands we face. Our approach towards changes is started and implemented with the support of

შავება, მომზადება და განხორციელება, რომლის საშუალებითაც მცირე ფერმერი ქალებისა და მამაკაცების ხმა წარმოდგენილი იქნება პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ჩვენი ძალისხმევა ძირითადად მიმართული იყო პოლიტიკის იმ ცვლილების მხარდაჭერისკენ, რომელიც ეხმარება ქალებს გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებებზე თავიანთ თემებში და მათ ფარგლებს გარეთ. ვინაიდან წყალდიდობები, მეწყრები და სურსათის ნაკლებობა კვლავ ემუქრება ადამიანების სიცოცხლეს და საარსებო საშუალებებს, ჩვენ ვაძლიერებდით მოწყვლად თემებს, რათა ისინი მომზადებულიყვნენ და შეეძლებინათ ბუნებრივ კატასტროფებს.

რა თქმა უნდა, ჩვენ ჯერ ვერ ვახერხებთ რეაგირებას ყველა საჭიროებაზე და მოთხოვნაზე, რომელსაც ვაწყდებით. ჩვენი ცვლილები-საღმი მიდგომა იწყება და ხორციელდება ჩვენი ორგანიზაციის თანამშრომლების და კომპეტენტური ადამიანების მხარდაჭერით. ამასთან ერთად, ჩვენ მუდმივად ვსწავლობთ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას ადგილობრივის და გლობალურის დასაკავშირებლად.

ულარიბესი მოსახლეობის მაქსიმალურად ეფექტური მხარდაჭერისთვის „ბრიჯს“ აქვს უსამართლობასთან და უთანასწორობასთან ბრძოლის ამბიციური სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც ცვლილების ცენტრში ხვდება ის მოწყვლადი თემები, რომლებთანაც ჩვენ ვმუშაობთ. ეს სტრატეგია წარმოადგენს ვალდებულებას, რომ უფრო თავგამოდებით ვიმუშაოთ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორობისა და ქსელის ფარგლებში, რომ მაქსიმალურად ბევრ ადამიანზე მოვახდინოთ ზემოქმედება. იქნება ეს ცალკეული ოჯახების დახმარება, მეტი სურსათის მოყვანა, თუ მეტი შესაძლებლობის შექმნა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ჩვენი საქმიანობა ხელს უწყობს რეალიზებას, საკუთარი თავის რწმენის გაღვივებას და თვითუზრუნველყოფას რაც ქმნის საფუძველს გრძელვადიანი ცვლილებისთვის.

25 წლიანი მოღვაწეობის დასასრულს ოქსფამმა 2015 წელს საქართველოში დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ბრიჯი - ინოვაცია და განვითარება“ (ბრიჯი), რომე-



the employees of our organization and competent people. Besides, we always try to make maximal use of our capacities for connecting local and global.

For ensuring maximal support to the poorest population, BRIDGE has ambitious plan for combatting unfairness and inequality, according to which in the center of changes are vulnerable groups we work with. This strategy, represents an obligation for harder work within the frame of our international partnership and network, to influence as many people as possible. This could be helping single families, harvesting more goods or provision of more opportunities for improving living conditions. Our activity promotes rising of self-confidence and self-provision, which provides grounds for long term change.

ლიც აერთიანებს ოქსფამის ყველაზე გამოცდილ თანამშრომლებს და ჰყავს მაღალკვალიფიციური მენეჯმენტი. „ბრიჯმა“ აიღო ვალდებულება ეფექტურად გააგრძელოს ოქსფამის მემკვიდრეობა, თავისი საქმიანობა დააფუძნოს გასული წლების წარმატებებზე და ამასთან ისარგებლოს ოქსფამის გლობალური და რეგიონული კავშირებით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ადამიანური ურთიერთობები და წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული პარტნიორობა, რომლის მეშვეობითაც გვჯერა უკეთესი მომავლის ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის.

ნამდვილი პროგრესის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ ადამიანების მოსმენით, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ჩვენს მუშაობას. ამ გზაზე ჩვენი შთაგონების მუდმივ წყაროს წარმოადგენს „ბრიჯის“ თანამშრომლების, პარტნიორების, დონორების და მოხალისეების თავდადება იმ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გამოწვევების დაძლევაში, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვაწყდებით.

ხშირად გვეკითხებიან რას უჭერს მხარს „ბრიჯი“ საქართველოში. პასუხი, ერთი შეხედვით, მარტივია - ჩვენ მხარს უჭერთ ისეთი ქვეყნის მშენებლობას, სადაც არავის უნევს სიღარიბესა და უსამართლობასთან შეგუება. თუმცა იმის ნაცვლად, რომ ვუთხრათ ადამიანებს, რას უჭერთ მხარს, გაცილებით უფრო ეფექტური, იქნება ვაჩვენოთ კონკრეტული მაგალითები, როგორ ვაკეთებთ ამას.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ანგარიშში არსებული ინფორმაცია თქვენთვის საინტერესო და სასარგებლო იქნება. უფრო მეტს გაიგებთ ჩვენი საქმიანობების შესახებ და იმის შესახებ თუ როგორ იქმნის ხალხი უკეთეს მომავალს „ბრიჯის“ დახმარებით.

წარმატებას გისურვებთ,

გამგეობის წევრები:

გიორგი ჭათაძე
ნინო ქაჩელი
ქეთი გეთიაშვილი
გიგა შუბლაძე
ნინო გვაინიშვილი

In 2015 - in the end of its work for 25 years, Oxfam established NGO “Bridge – Innovation and Development” (BRIDGE), which unifies the most experienced employees of Oxfam- and had highly qualified management. “BRIDGE” accepted responsibility for effective continuance of the heritage of Oxfam, basing its activity of past success and using global and regional links of Oxfam. Human relationships and partnership, developed for years are important for us, since we believe that it will lead every citizen of our country to better future.

Real progress can be achieved, only by listening to people, who make our work possible. On this way, our constant inspiration is effort of the BRIDGE staff, its partners and volunteers for responding to multiple and diverse challenges facing each of us every day.

We are often asked – what does the BRIDGE stands for in Georgia; the answer seems simple – we stand for a country, where no one has to live with injustice and poverty. However, instead of telling people what we stand for, it’s so much more powerful to give them examples how we do it.

We hope that information provided in this report will be interesting and useful for you. You will learn more about our activities, as well as how people are building a more prosperous life for themselves with BRIDGE’s support.

We wish you success!

Members of the Board:

Giorgi Datusani
Nino Kareli
Ketia Getiashvili
Giga Shubladze
Nino Gvainishvili



სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ალიანსი

„ბრიჯი“ ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის - „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ალიანსის“ საქმიანობის კოორდინაციას.

ალიანსის მიზანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით მცირემიწიანი ფერმერების შესაძლებლობების გაძლიერება, ასევე პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების პროცესში მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება. ალიანსი ქმნის ინკლუზიურ სივრცეს, რომელიც აერთიანებს ორგანიზაციას ფართო სპექტრის წევრებს და უზრუნველყოფს ერთიან ადვოკატირებისთვის საჭირო მოქმედებების კოორდინირებულად განხორციელებას.

2013 წლიდან ალიანსი ეფექტურად ახორციელებს საქართველოში სოფლის მეურნეობის და სოფლად განვითარების

სოფლის მეურნეობა

AGRICULTURE & RURAL DEVELOPMENT

Georgian Alliance on Agriculture and Rural Development (GAARD)

“BRIDGE” coordinates the activities of civil society platform – “Georgian Alliance on Agriculture and Rural Development” (GAARD).

The goal of Alliance is capacity building of rural population, especially of those having small land; as well as taking into consideration their interests and needs in policy development and implementation processes. The Alliance develops inclusive space, unifying the members of wide spectrum of organizations and ensures coordinated implementation of the activities necessary for entire advocacy.

პოლიტიკის გარშემო ერთობლივი პოზიციონირების ჩამოყალიბებას და ადვოკატირებას, რომელშიც გათვალისწინებულია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების ინტერესები.

გასულ წელს ალიანსმა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინა რეკომენდაციათა პაკეტი სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ალიანსის მიერ მითითებული სტრატეგიის 41 საკითხიდან 58% სრულად ან ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული სტრატეგიის საბოლოო ვარიანტში.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ალიანსი ამჟამად აერთიანებს 31 ორგანიზაციას, სადაც შედიან საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები. ორგანიზაციათა განსხვავებული პროფილი (როგორცაა გენდერული თანასწორობა, კვლევითი და სამეცნიერო) ხაზს უსვამს საკითხისადმი მრავალმხრივ ჭრილში გადანწყვებას, რასაც საბოლოო ჯამში უკეთეს შედეგამდე მივყავართ.

ალიანსი, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული პლატფორმა, განაგრძობს აქტიურ თანამშრომლობას და კოორდინაციას, როგორც წევრებს შორის, ასევე მთავრობასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის და მუდმივად მუშაობს ფერმერთა ხმის გაჟღერებისა და მათთვის უკეთესი გარემოს შექმნაზე.

ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერა

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“

ხორციელდება ჩეხური ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ მიერ ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად

Since 2013 GAARD effectively promotes and advocates the development of common position on agricultural and rural development policy, envisaging the interests of rural population, including vulnerable groups.

Last year GAARD submitted to the Ministry of Agriculture the package of recommendations for the process of elaboration of agricultural of Georgia development strategy for 2015 – 2020. 58% of 41 issues indicated by the alliance were fully or partially considered in the last version of the strategy.

Currently, Georgian Alliance on Agricultural and Rural Development unifies 31 organizations, including international and local ones. Diverse profile of the organizations (such as gender equality, research scientific) highlights multi profile approach to the issue, which finally leads to better results.

GAARD, as a national platform of civil society, continues active cooperation with and coordination of its members as well as different stakeholders and constantly works on making farmers' voice heard and on development of better environment for them.

Civil Society Promoting DCFTA in Georgia

EU funded project “Regional Civil Society Organizations as Vectors of Rural Economic Development that is promoting DCFTA in Georgia” is implemented by Check organization “People in Need” in cooperation with local partners. Within the frame of the partnership with the mentioned project, Bridge - Innovation and Development ensures the coordination of Georgian Alliance on Agriculture and Rural Development.

The goal of the project is promotion of acceleration of Georgian EU integration process. In parallel with implementation of DCFTA, within the frame of EU Association

და დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. ბრიჯ - ინოვაცია და განვითარება აღნიშნული პროექტის პარტნიორობის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ალიანსის კოორდინაციას.

პროექტის ამოცანაა ხელი შეუწყოს საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA), ასევე მცირე და საშუალო ბიზნესებზე (SME) სახელმწიფო პოლიტიკის დანერგვის პარალელურად, პროექტი მიზნად ისახავს რეგიონში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (სსო) შესაძლებლობების გაძლიერებას DCFTA საკითხებთან მიმართებით.

„ბრიჯი“, როგორც ზემოთ აღნიშნული ალიანსის წევრი და კოორდინატორი ორგანიზაცია, მხარს უჭერს ალიანსს ერთობლივი ადვოკატირებისა და ლობირების საქმეში, ასევე ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიის განხორციელების ზედამხედველობაში. ვინაიდან კვლევითი და დოკუმენტური ბაზის ფორმირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეფექტური პოლიტიკური დიალოგისთვის, „ბრიჯი“ აქტიურად ეხმარება ალიანსს იმ სფეროთა იდენტიფიცირებაში, რომელთა გაუმჯობესება და ამ მიზნით საინფორმაციო-ანალიტიკური ბაზის ჩამოყალიბება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ზემო აღნიშნული პროექტის ფარგლებში ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერის მიზნით ბრიჯი უზრუნველყოფს ალიანსის მხარდაჭერას და ამ მიმართულებით პროექტის პარტნიორობთან ერთად ხელისშემწყობი ღონისძიებების გატარებას.

გასულ წელს ალიანსის პლენარული სესიის ფარგლებში შემუშავდა პოლიტიკის ნარკვევი პროგრამის „დანერგე მომავალი“ შესახებ. რეკომენდაციების საბოლოო ვერსია მოგვიანებით გაეგზავნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდგომი რეაგირებისთვის.



Agreement and the state policy on small and medium business, the project aims at capacity building of civil society organizations operating in the region, in regard to the issues related to DCFTA.

BRIDGE – as the member and coordinator of above mentioned Alliance, supports it in joint advocacy and lobbying, as well as in supervision of the implementation of agricultural strategy of the country. Since formation of research and documentary base has decisive importance for effective political dialogue, BRIDGE actively supports the GAARD in identification of the fields, improvement of which and development of informational analytical base in regard to which is crucial. Within the frame of above mentioned project, BRIDGE facilitates the Alliance and implementation of supportive measures in cooperation with the project partners.

Last year, within the frame of plenary session of the GAARD policy paper was drafted on the program “Danerge Momavali” (Plan the Future). Later, was sent final version of the recommendations to the Ministry of Environment and Agriculture for further response.

სამომავლოდ ალიანსის პლენარული შეხვედრების ფორმატში დაგეგმილია რამდენიმე მსგავსი პოლიტიკის ნარკვევის შემუშავება და ალიანსის წევრების კონსულტაციით საკითხების ადვოკატირება ცენტრალურ მთავრობასთან.

სასურსათო უსაფრთხოება

“სასურსათო უსაფრთხოება ეს არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე.

გასულ წელს დასრულდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 4 წლიანი სასურსათო უსაფრთხოების პროექტის განხორციელება, რომლის მთავარი მიზანი იყო ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის შექმნა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც ახორციელებდა ოქსფამი საქართველოს პროგრამა „ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ელკანასთან“ ერთად შემდეგი გზებით: 1.სრულფასოვანი სურსათის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის ჩამოყალიბებით და მართვით 2.ადგილობრივი სურსათის წარმოებისა და მოხმარების საკანონმდებლო ბაზის შექმნით 3.მცირე ფერმერების მათ შორის ქალი ფერმერების აქტიური მონაწილეობით, რათა მათი ინტერესები გათვალისწინებულ იქნეს სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავების პროცესში.

პროექტის დასასრულს გაუღერდა მთავარი გზავნილები და პრიორიტეტები, რომელზეც მუშაობას განაგრძობს „ბრიჯი“ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ალიანსთან ერთად.

აღნიშნული გზავნილებია:

- სასურსათო უსაფრთხოების შესახებ კანონის მიღება;

In future, it is planned to develop several similar policy papers within the frame of plenary sessions of the GAARD and to advocate the issues with the Central Government, based on the consultations with the members of the Alliance.

Food Security

“Food Security is a situation that exists when all people, at all times, have physical, social and economic access to sufficient, safe and nutritious food that meets their dietary needs and food preferences for an active and healthy life”.

Last year the implementation of EU funded 4 years' food security project was finished, with main goal for development of national food security strategy and supporting small farmers in South Caucasus. The project was implemented by Oxfam together with its implementing partner “Biological Farming Association Elkana”, using the following ways: 1) elaboration and management of sufficient food access; 2) development of legal basis for production and consumption of local food; with participation of farmers including women, to take into consideration their interests in the process of elaboration of food security policy and strategies.

At the end of the project this year policy messages and priorities have been outlined on which the work will be continued by Bridge Innovation and Development (BRIDGE) together with the Georgian Alliance on Agriculture and Rural Development (GAARD).

Mainly they are:

- Adoption of Law on Food Security
- Increasing share of agricultural allocations in the state budget up to 10%
- Increasing annual allocations for financing capital investment grant schemes for SHFs and AG COOPs up to GEL 25m;
- Adopting Land Code

- სახელმწიფო ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო ასიგნებების ხვედრითი წილის გაზრდა 10%-მდე;
- მცირე და საშუალო ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კაპიტალური ინვესტირების მიზნობრივი საგრანტო პროგრამების ყოველწლიური დაფინანსების 25 მ. ლარამდე გაზრდა;
- მიწის კოდექსის მიღება;
- სურსათის სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში ადგილობრივი მცირე და საშუალო მენარმეებისა და ფერმერების ჩართვის ნახალისება/ხელშეწყობა;
- სასოფლო ტურიზმის ხელშეწყობა;

აღნიშნული საკითხების აქტუალობა ძალიან კარგად არის ცნობილი ამ სფეროში ჩართული ან დაინტერესებული ადამიანებისთვის ან მხარეებისთვის. „ბრიჯი“, ალიანსთან ერთად, ცდილობს აღნიშნული საკითხების ადვოკატირებას და ალიანსის შესაბამის საშუალო ჯგუფებში განიხილვას და გეგმავს ქმედითი ნაბიჯების. მაგალითისთვის, სასურსათო უსაფრთხოების საკანონმდებლო ინიციატივა შეტანილ იქნა პარლამენტში და აგრარულ საკითხთა კომიტეტზე მოხდა მისი წარდგენა. ვიმედოვნებთ რომ ინიციატივას ექნება გაგრძელება და მომავალი, ვინაიდან ქვეყანას, მით უფრო ჩვენი გეო-პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, აუცილებელია გააჩნდეს სტრატეგია და მოქმედებათა კოორდინაცია ისეთი კომპლექსური და მრავალისმომცველი საკითხის მიმართ როგორც არის სასურსათო უსაფრთხოება.

გასული წლების განმავლობაში არა-ერთი კვლევა განხორციელდა, რომლის მიზანი იყო სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება და ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა მცირე მეურნეების მხარდაჭერის გზით. კვლევები და სხვა მასალები ხელმისაწვდომია ბრიჯის ვებ-გვერდზე. www.bridge.org.ge



- Inclusion of SHFs and local SMEs in the state procurement schemes for food

Members of the alliance signed MoU which once again emphasized the willingness of the alliance to continue the advocacy of the project achievements and priorities in the future.

Topicality of mentioned issues is well known for the people interested and engaged in this field. BRIDGE, together with GAARD tries to advocate the mentioned issues and discuss in respective working groups, and plans effective steps. For example: the legislative initiative on food security was submitted to the Parliament, in particular to Agrarian Committee. We hope that this initiative has future, since the country, especially with such geo political condition, shall have strategy and coordination of action for comprehensive issues, such as – food security.

During the last years several studies were carried out, aiming at elaboration of food security strategy and promotion of local production by supporting small business. The study and other materials are available on the BRIDGE website - www.bridge.org.ge

ყვავილების კულტივაცია ქალთა კოოპერატივებისთვის

„ბრიჯმა“ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და ქალთა და მამაკაცთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში განახორციელა საპილოტე პროექტი ქალთა ორი კოოპერატივისთვის, რომლებთანაც „ბრიჯს“ მსგავსი პროექტის ფარგლებში უკვე აქვს წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება. პროექტი დააფინანსა შვეიცარიის განვითარების ფონდმა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში „ბრიჯი“ ხელს უწყობს კოოპერატივის წევრებს მიიღონ შესაბამისი ცოდნა, რათა შეძლონ თავიანთი ეკონომიკური აქტივობის დივერსიფიკაცია ყვავილების კულტივაციის გზით. „ბრიჯმა“ უზრუნველყო კოოპერატივებისთვის სათბურების მონტაჟი და მაღალი ხარისხის სანერგე მასალების მიწოდება, ასევე კოოპერატივის წევრების სათანადო უნარ-ჩვევების განვითარება. „ბრიჯი“ ეხმარება კოოპერატივის წევრებს შესაბამისი ბაზრის კვლევაში და ყვავილების წარმოებისთვის საჭირო ღირებულებათა ჯაჭვის შექმნაში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში უკვე არსებულ ორ კოოპერატივს, რომლის შემადგენლობაში კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა ჯგუფია გაერთიანებული, მივეცით შესაძლებლობა საკუთარი საქმიანობის დივერსიფიცირება მოეხდინათ, რამაც მათი უნარების გაძლიერება, შემოსავლის გაზრდა და მათი და მათი ოჯახების უკეთესი ყოფითი პირობების შექმნა უზრუნველყო.

ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება- გადამუშავება

„ბრიჯი“ პარტნიორ ორგანიზაციასთან „სოფლად თემთა განვითარების სააგენტო“ ერთად „დიდი ბრიტანეთის ლატარიის



Cultivation of Flowers for Women's Cooperatives

In purpose of building women's economic capacity and ensuring additional income for vulnerable groups of women and men BRIDGE in Mtskheta Mtianeti implemented two pilot projects for two women's cooperatives, with which it already has experience of successful cooperation in similar project. The project was funded by Swiss Development Fund.

Within the frame of mentioned project, BRIDGE supported the cooperative members in obtaining respective knowledge, to be able to diversify their economic activities by cultivating flowers. BRIDGE installed greenhouses for cooperatives, and provided them with high quality young plants, as well as with the opportunity for development of the members' skills. BRIDGE supported the cooperatives in studying respective markets and development of value chain necessary for production of flowers.

ეროვნული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს სახელწოდებით: „ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება-გადამუშავება - ქალთა ჯგუფებისთვის ბაზრების მოპოვების შესაძლებლობა“.

პროექტი მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების საარსებო პირობების გაუმჯობესებას და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობას ტყის არამერქნული პროდუქტების წარმოების და ქალთა ეკონომიკური ლიდერობის წახალისებას.

პროექტის განხორციელება 2015 წელს დაიწყო და ძირითადად მოიცავს საქართველოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის 5 თემს, ესენია: წინამძღვრიანთკარი, ფასანაური, ნიჩბისი, შარახევი და საგურამო.

პროექტის ბენეფიციარები სამიზნე რეგიონებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები და ძირითადად ქალები არიან. ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისთვის პროექტი ქალთა და თემის სხვა წარმომადგენელთა ადვოკატირების უნარ-ჩვევების განვითარებას და ეკონომიკურ გააქტიურებას უწყობს ხელს.

პროექტის შედეგად, მცხეთა- მთიანეთის რეგიონში ქალთა ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული 5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეშვეობით ტყის არამერქნული პროდუქტის პოპულარიზაციას შეეწყო ხელი. ეს ის პროდუქტია, რომელიც უხვადაა ჩვენს ტყეში და ბევრი სასარგებლო დანიშნულებით გამოიყენება, მათ შორის სამედიცინო სფეროში.

შეგროვებული პროდუქტის უსაფრთხო და შესაბამისი სტანდარტების დაცვით გაშრობისთვის კოოპერატივებს მზის ტექნოლოგიაზე აწყობილი საშრობების კონსტრუქციები გადაეცათ. შეგროვებული და გამშრალი პროდუქტის რეალიზაცია, მით უფრო როცა მათ ბიო და ორგანული სერტიფიკატები გააჩნიათ, ზრდის

Within the frame of the mentioned project, we offered opportunity to two cooperatives in Mtskheta Mtianeti, where conflict affected women are engaged, to diversify their activity, which ensured strengthening of their skills, increase of income and better life for their families.

Collection - Processing NonTimber Forest Products

